გარდაცვალება

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	ალექსანდრე არაბული
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	aarabuli@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (200)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2024 წ. 5 აპრილი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2024 წ. 5 აპრილი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2024 წ. 5 აპრილი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა
3.1. მონაცემების აღწერა
გარდაცვლილთა სტატისტიკა მოიცავს წლის განმავლობაში რეგისტრირებულ გარდაცვლილთა რიცხოვნობას და შესაბამის მაჩვენებლებს (კოეფიციენტებს).
3.2. კლასიფიკაციის სისტემა
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კლასიფიკატორი; ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკატორის მეათე გადახედვა (ICD-10).
3.3. სექტორის მოცვა
წლის განმავლობაში გარდაცვლილები. მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გარდაცვლილებს.
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები
გარდაცვალება – ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციების სამუდამოდ შეწყვეტა. **დედათა გარდაცვალება** – ორსულობის პერიოდში ან მისი დამთავრებიდან 42 დღის განმავლობაში (ორსულობის ხანგრძლივობისა და ლოკალიზაციის მიუხედავად), ორსულობასთან დაკავშირებული რომელიმე მიზეზით განპირობებული სიკვდილი, რომელიც მოხდა სამკურნალო ზემოქმედებით ან რომელიმე პათოლოგიით, რომელიც დამძიმდა ორსულობის, მშობიარობის ან ლოგინობის პერიოდში, მაგრამ არა უბედური შემთხვევით ან შემთხვევითი მიზეზით. **ჩვილთა მოკვდაობა** – ბავშვთა მოკვდაობა სიცოცხლის პირველ წელს (0-12 თვის ჩათვლით). **ნეონატალური მოკვდაობა** – მოკვდაობა დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე. **პოსტნეონატალური მოკვდაობა** – მოკვდაობა სიცოცხლის 28-ე დღიდან ერთ წლამდე ასაკში. **თვითმკვლელობა (სუიციდი)** – საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა. **მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი** – გარკვეულ დროში გარდაცვლილთა რიცხოვნობის შეფარდება იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან და უჩვენებს გარდაცვლილთა რიცხოვნობას მოსახლეობის 1 000 კაცზე. **დედათა მოკვდაობის კოეფიციენტი** – დედათა სიკვდილიანობის დონის გამომხატველი მაჩვენებელი. უჩვენებს, თუ რამდენი დედა გარდაიცვალა 100 000 ცოცხლად დაბადებულზე. **ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი** – 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე. **ნეონატალური მოკვდაობის კოეფიციენტი** – დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე გარდაცვლილთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე.

5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი – 5 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობა 1 000 ცოცხლად დაბადებულზე.
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას – წლების რაოდენობა, რომელსაც საშუალოდ იცოცხლებს ერთი ადამიანი დაბადებულთა თაობიდან იმ პირობით, რომ მოკვდაობის დონე ყოველ ასაკში დარჩება ისეთი, როგორიც არის მოცემულ პერიოდში.
თვითმკვლელობის (სუიციდის) შედეგად სიკვილიანობის კოეფიციენტი – თვითმკვლელობით გარდაცვლილთა რიცხოვნობა მოსახლეობის 100 000 კაცზე.

3.5. სტატისტიკური ერთეული

გარდაცვლილი.

3.6. სტატისტიკური პოპულაცია

საქართველოში გარდაცვლილები და საზღვარგარეთ საქართველოს წარმომადგენლობებში რეგისტრირებული გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქეები.

3.7. საანგარიშო არეალი

მოიცავს მთელი ქვეყნის მონაცემებს ოკუპირებული ტერიტორიების გარდა. მათ შორის, რეგიონების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების, საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კლასიფიკატორის შესაბამისად.

3.8. დროის მოცვა

1940, 1950-1968 – გარდაცვლილთა (მათ შორის, ჩვილ ბავშვთა) რიცხოვნობა საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით;
1969 წლიდან – გარდაცვლილთა (მათ შორის, ჩვილ ბავშვთა) რიცხოვნობა რეგიონების, თვითმმართველი ერთეულების, საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით;
1969 წლიდან – გარდაცვლილთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით;
1989 წლიდან – გარდაცვლილთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით;
2002 წლიდან – გარდაცვლილთა რიცხოვნობა რეგიონების, ასაკის, სქესის და საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით;
1989 წლიდან – გარდაცვლილთა რიცხოვნობა თვეების მიხედვით;
1990 წლიდან – გარდაცვლილთა რიცხოვნობა გარდაცვალების ძირითადი მიზეზები და სქესის მიხედვით;
1995 წლიდან – 1 წლამდე ასაკის გარდაცვლილ ბავშვთა რიცხოვნობა გარდაცვალების ძირითადი მიზეზები და სქესის მიხედვით;
2005 წლიდან მონაცემები ხელმისაწვდომია სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით.

3.9. საბაზო პერიოდი

-

4. ზომის ერთეული

კაცი, პრომილე (‰).

5. საანგარიშო პერიოდი

კალენდარული წელი.

6. ინსტიტუციური მანდატი

6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები

საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“;
https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf
სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა;
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება.
https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf

6.2. მონაცემთა გაზიარება

- „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის № 262 დადგენილების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქსტატი ყოველწლიურად უზრუნველყოფს სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მონაცემების მიწოდებას ურთიერთშეთანხმებულ ფორმატში;
- მემორანდუმი სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის.

7. კონფიდენციალურობა

7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა

1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:
   - კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ანიურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული.
   - კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მჟღავნდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.
   - კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული დ ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება.

   https://www.geostat.ge/media/54263/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf
2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“
   https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf
3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“
   https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
   https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437

7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა

- კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.
- საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

8. გამოქვეყნების პოლიტიკა

8.1. გამოქვეყნების კალენდარი

მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა

https://www.geostat.ge/ka/calendar

8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა

მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

9. გავრცელების სიხშირე

ნახევარწლიური (წინასწარი) და წლიური მონაცემები ქვეყნდება წელიწადში ერთხელ.

10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა

10.1. პრეს–რელიზები

პრეს-რელიზი წარმოადგენს ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების შესახებ ოფიციალურ პუბლიკაციას, რომელიც ქვეყნდება ელექტრონულად წელიწადში ერთხელ ქართულ და ინგლისურ ენებზე:
https://www.geostat.ge/ka/news?year=&month=&category=9

10.2. პუბლიკაციები

კრებულები „დემოგრაფიული ვითარება საქართველოში“ და „ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკა საქართველოში“ ქართულ და ინგლისურ ენებზე, ელექტრონული ვერსია:
https://www.geostat.ge/ka/single-categories/114/mosakhleoba

10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა

მონაცემები განთავსებულია საქსტატის საიტზე PC-Axis-ის მონაცემთა ბაზაში:
https://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database

10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა

მიკრომონაცემები ხელმისაწვდომია „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად:
https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf

10.5. სხვა

დემოგრაფიული პორტალი:
http://database.geostat.ge/pyramid/index.php?lang=ka

10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე

მეთოდოლოგიის დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/124/methodologia-mosakhleobis-aghtsera-da-demografia

10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ

-

11. ხარისხის მართვა

11.1. ხარისხის უზრუნველყოფა

სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).

11.2. ხარისხის შეფასება

საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.
საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე:
https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf

12. შესაბამისობა

12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები

ძირითადი მომხმარებლებია: სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, აკადემიური წრეები, სტუდენტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, მოქალაქეები. ძირითადად გამოიყენება ქვეყანაში დემოგრაფიული სურათის გასაშუქებლად ნაშრომების, თემების, ანალიზის, პრეზენტაციების მოსამზადებლად და სხვა მიზნებისთვის.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
ხელმისაწვდომია გარდაცვლილთა შესახებ შემდეგი მონაცემები: სქესი, ასაკი, გარდაცვალების და რეგისტრაციის თარიღი და ადგილი, მოქალაქეობა, გარდაცვალების ძირითადი მიზეზი. აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომია რეგიონის, თვითმმართველი ერთეულის და საქალაქო და სასოფლო დასახლებების დონეზე.

13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო ონლაინ რეგისტრაციის სისტემის დანერგვამ.
13.2. შერჩევითი ცდომილება
-
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
-

14. დროულობა და პუნქტუალურობა
14.1. დროულობა
ნახევარწლიური (წინასწარი) მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 2.5 თვის შემდეგ, ხოლო წლიური (საბოლოო) მონაცემები – 3 თვის შემდეგ.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულებისთვის (თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტები).
15.2. შესადარისობა – დროში
მონაცემები გროვდება და მუშავდება ერთი და იგივე მეთოდოლოგიითა და განმარტებებით მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
-
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
-

16. დანახარჯები და დატვირთვა
გარდაცვლილთა მონაცემების მოწოდება ხდება ადმინისტრაციული წყაროების მიერ და არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს.

17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე:

https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf

17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა

აღწერათა შორის პერიოდში გარდაცვლილთა მონაცემების გადაანგარიშება ხდება აღწერის შედეგების და შესაბამისი წლების დემოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით.
2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებმა დღის წესრიგში დააყენა წინა წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებისა და განახლების აუცილებლობა. 2018 წელს ხელმისაწვდომი გახდა 1994-2014 წლების ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშებული შედეგები.
დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე:
https://www.geostat.ge/ka/single-archive/3199

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები

სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან საქსტატი იღებს გარდაცვლილების შესახებ სამედიცინო ცნობების ელექტრონულ ბაზას.
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან საქსტატი იღებს რეგისტრირებულ გარდაცვლილთა ელექტრონულ ბაზას.

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

კვარტალურად.

18.3. მონაცემთა შეგროვება

წლის განმავლობაში დემოგრაფიული შემთხვევების შეგროვება ხდება სრულად.

18.4. მონაცემთა კონტროლი

მონაცემების გამოქვეყნებამდე ხორციელდება გაორებული ჩანაწერების გაწმენდა და ლოგიკური კონტროლი. ასევე ხორციელდება სხვადასხვა ადმინისტრაციული წყაროების ერთმანეთთან დაკავშირება.
გარდაცვალების ძირითადი მიზეზის კოდირება ხორციელდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ რეკომენდებული პროგრამა IRIS-ის საშუალებით. პროგრამა ავტომატურად ირჩევს სიკვდილის ძირითად მიზეზს და ანიჭებს კოდს ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკატორის მეათე გადასინჯვის (ICD-10) მიხედვით. პროგრამა IRIS-ით კოდირების დამთავრების შემდეგ იწყება მეორე ეტაპი და გარდაცვალების მონაცემთა კონტროლი ხორციელდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ რეკომენდებული პროგრამა ANACOD-ის საშუალებით.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

მონაცემთა გაწმენდის და დაზუსტების შემდეგ ხდება დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოება.

18.6. მოსწორება

-

19. კომენტარი

-